პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წითელი მეომარი

1923
ნოემბერი
7
ოთხშაბათი

1917 წ. ოქტომბრის გადატრიალება პეტროგრადში

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა
კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე
გარდა კვირა უქმე დღეებისა
9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური
ფასი 1 მან. 20 კ.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი
წერილები უნდა იყოს დაწერილი
ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 385 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 5 კაპ. ჩერ. № 385

ექვსი წელია მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვიშორეთ მემამულეები და კაპიტალისტები,—გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა განთავისუფლების მეექვსე წლის თავს!
ექვსი წელია მას შემდეგ, რაც ჩვენ დავამყარეთ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება,—გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების მეექვსე წლის თავს.
ექვსი წელია მას შემდეგ, რაც ჩვენ დავამსხვრიეთ ნაციონალური ჩაგვრის ბორკილები,—გაუმარჯოს ერთა განთავისუფლების მეექვსე წლის თავს.

ექვსი წლის თავზე.

დღეს დიდი ოქტომბრის დღესასწაულია.

დღეს რუსეთის რევოლუციონური პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა ზეიმობს თავისი გამარჯვების დღეს.

ექვსი წლის უკან სუსხიან ოქტომბერში მან მოახდინა უდიდესი აჯანყება და კაცობრიობის ისტორიის მატიანეში ახალი გვერდი გადაფურცლა.

დიდმა აჯანყებამ რუსეთის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე ძალაუფლება გადასცა რევოლუციონურ მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას.

ექვსმა წელმა განვლო მას შემდეგ.

ამ ხნის განმავლობაში მუშურ-გლეხურ სახელმწიფომ ბევრი უბედურება და ხიფათი განიცადა, მაგრამ ღირსეულად გადალახა ყოველგვარი სიძნელე და დაბრკოლება თავის ეკლიან გზაზე.

დღეს ის სდგას მსოფლიო რევოლუციის სადარაჯოზე მტკიცედ და უდრეკად, როგორც არასოდეს.

ამით კი დაუფასებელი და განუზომელია ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობა ადამიანთა ისტორიაში.

ის რაც საუკუნეთა განმავლობაში ტანჯულ კაცობრიობის ეხატებოდა ოცნებაში—ოქტომბრის წყალობით ახდა რეალურ სინამდვილედ.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ, მხოლოდ მის მიერ შობილ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის განთავისუფლება ბურჟუაზიის ბატონობისაგან.

ოქტომბერმა რუსეთში დაამხო კაპიტალი და გაამეფა შრომა.

მიწა გადაეცა მშრომელ გლეხობას, მთელი მსხვილი მრეწველობა, ტრანსპორტი და ფინანსები გამოცხადდა პროლეტარულ სახელმწიფოს კუთვნილებად, შეიქმნა უძლეველი წითელი არმია მუშურ-გლეხური ხელისუფლების დასაცავად.

ოქტომბრის რევოლუციამ გაანთავისუფლა ცარიზმის მიერ დაჩაგრული ერები და შექმნა ძლიერი კავშირი საბჭოთა რესპუბლიკებისა თანასწორობის და ძმური თანამშრომლობის ნიადაგზე.

მაგრამ ოქტომბრის ლოზუნგები დიდი და სათაყვანებელია არა მარტო მთელი ფედერაციისათვის, ოქტომბერი ძვირფასია მთელი მსოფლიო მშრომელთათვის, მისი ლოზუნგები ცეცხლის ენებით მოედვენ მთელ სამყაროს და მძლავრი ყიჟინით გამოიწვევს უკანასკნელ ბრძოლაზე კაპიტალთან როგორც კულტურულ დასავლეთის პროლეტარებს ისე დამონავებულ აღმოსავლეთის დაჩაგრული ერები.

ოქტომბრის რევოლუციამ დაამხო არა მარტო რუსეთის ბურჟუაზია, ის ძირს უთხრის და განადგურებით ემუქრება მსოფლიო კაპიტალიზმს.



დღეს ექვსი წლის თავზე ის კვლავ აპირებს განმეორებას თვით კაპიტალიზმის ცენტრში, ევროპის შუაგულში—გერმანიაში. სამოქალაქო ომის ზრდა და საშინელი კრიზისი ხმა მაღლა ლაპარაკობენ გერმანიის ოქტომბრის მოახლოებაზე.

სულ ადრე მთელი მსოფლიო კვლავ შეიძრება ოქტომბრის მეხით, რომელიც საბედისწერო იქნება საერთაშორისო ბურჟუაზიისათვის.

ამიტომაც განსაკუთრებით ძვირფასია დღევანდელი ოქტომბერი ჩვენთვის.

ჩვენ მას ვდღესასწაულობთ იმ მომენტში, როდესაც გერმანიის პროლეტარიატი გამალებულად ემზადება შეტევისათვის.

ენერგიული დახმარებით ჩვენი მხრივ ის გაიმარჯვებს. ვუსურვოთ რომ მომავალ წელში ისე როგორც ჩვენ, ისინი თავისუფლად იდღესასწაულებენ უდიდეს პროლეტარულ დღესასწაულს—წითელ ოქტომბერს!

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის რევოლუციას.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას!

გაუმარჯოს გერმანიის ოქტომბერს!

ბრძოლის და შრომის ექვსი წელი.

ზოგიერთ ისტორიულ ეპოქისათვის ათეული წლებიც კი ბევრს არაფერს წარმოადგენს, შეიძლება ისე განვლოს მრავალმა წლებმა, რომ მსოფლიოში დიდ მნიშვნელოვანი მოვლენა არ მოხდეს. ასეთი მდგომარეობა იყო წარსულ საუკუნოებში, მაგრამ ის რაც უკანასკნელ ექვსი წლის განმავლობაში მოხდა მსოფლიოში, ჯერ არ ნახული მოვლენები ისტორიისათვის.

მსოფლიო, მეთვრამეტე საუკუნის მოწურულს საფრანგეთის დიდ რევოლუციის შემდეგ ერთგვარ მშვიდობიან და ნორმალურ განვითარების გზას დაადგა. იყო მართალია რამოდენიმე რევოლუციები მეცხრამეტე საუკუნეში, მაგრამ ეს რევოლუციები ერთ სახელმწიფოს საზღვრებში ყინდებოდა და დიდ გამოძახილს არ პოებდა სხვა ქვეყნებიდან. ბურჟუაზიული წესწყობილება ვითარდებოდა, მტკიცდებოდა, მძლავრად იკიდებდა ფეხს ყველგან და ასე გვეგონებოდათ ბურჟუაზიული წესწყობილება მუდმივი და გარდაუვალი მოვლენა იყო.

მაგრამ იფეთქა მსოფლიო ისტორიულმა ომმა. მსოფლიო ყაჩაღები ერთმანეთს ეცენ ყელში, ებრძოდენ ერთიმეორეს მსოფლიოში ბატონობისათვის. რა შედეგი მოუტა ამ ომს?

ომის მიერ შექმნილ მძიმე და აუტანელ მდგომარეობამ გააღვიძა მუშათა კლასში დადუმებული რევოლუციონური ენერგია. რუსეთის პროლეტარიატმა ყველაზე უწინ იგრძნო, შეიგნო არსებული მდგომარეობა და იმპერიალისტურ ომის სამი წლის შემდეგ აღმართა რევოლუციონური ბრძოლის დროშა კაპიტალისტურ წესწყობილების წინააღმდეგ და 1917 წელს, 25 ოქტომბერს [illegible] ბურჟუაზიულ—ფეოდალურ რუსეთს, დაამსხვრია ბურჟუაზიის მიერ გაჭედილი მონობის ბორკილები და გამოიწვია მსოფლიო მუშათა კლასი სამოქმედოთ, რევოლუციონურ ბრძოლისაკენ. სამოქალაქო, კლასიური ომი იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ—აი ეს ლოზუნგი განახორციელა რუსეთის მშრომელებმა.

ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთის მუშათა კლასმა ხორცი შეასხა, სინამდვილედ აქცია სოციალიზმის დიადი იდეა. ექვსი წელია რაც რუსეთში მუშურ გლეხური ხელისუფლება არსებობს. ექვსი წლის ისტორია აქვს პირველ მუშურ გლეხურ სახელმწიფოს, პროლეტარიატის დიქტატურას.



არ ასრულდა სოციალ-გამყიდველების „ბრძნული წინასწარმეტყველობა" საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შესახებ, არ გამართლდა მსოფლიო ყაჩაღების იმედები მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს უნიადაგობის და უსუსურობის შესახებ. ექვსი წელიწადი არსებობს საბჭოთა ხელისუფლება. რამდენი ბრძოლა, გადაიტანა ზღვა სისხლი, აურაცხელი მსხვერპლი გაიღო რუსეთის მუშათა კლასმა ამ ხნის განმავლობაში: ვერავითარმა ძალამ ვერ შეარყია მათი ფოლადისებური სიმტკიცე და და დღეს ის თავის ბრწყინვალე გამარჯვების ექვსი წლის თავს დღესასწაულობს.

დიადია ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობა არა მარტო საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთათვის, არამედ მსოფლიო მუშათა კლასისათვისაც. ექვსი წლის უკან რუსეთის პროლეტარიატის [illegible] ვებამ შეარყია ძირფესვიანად ბურჟუაზიის ამაყი შენობა. მსოფლიო ბურჟუაზიას თავზარი დასცა რუსეთის მუშების და გლეხების გამარჯვებამ; ბურჟუაზიამ იგრძნო თავის აღსასრულის მოახლოვების დღე, და კიდეც მიმართა ყოველგვარ ზომებს რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ. მაგრამ მუშურ-გლეხური რევოლუცია უძლეველი შეიქმნა, მის სალ კლდისებურ ნებისყოფაზე დაიმსხვრა მშრომელ ხალხის მტერთა შავბნელი ზრახვანი.

საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე. ძალა ერთობ საგრძნობია. ის სამოცდაათ მილიონიანი ხალხის სვებედს განაგებს მუშურ-გლეხური სახელმწიფო, მშრომელი ხალხის მებაირახტრე კომუნისტური პარტია. ამ ექვსი წლის განმავლობაში საბჭოთა რესპუბლიკების მუშებმა და გლეხებმა კომ. პარტიის მეთაურობით ნიადაგი ჩაუყარეს სოციალიზ-

დასავლეთის კაპიტალისტები ომით ემუქრებიან ევროპას,—მშრომელები ყველა ქვეყნისა სასტიკად შეებრძოლებიან მათ.
მუშებო და გლეხებო! ბრძოლაში ზავისათვის, გაიძვერა კაპიტალისტების წინააღმდეგ!
მშვიდობიანობის დამრღვევთ—შეუდრეკელი წინააღმდეგობა!
მუშათა დიქტატურა—ერთად-ერთი ხსნაა ევროპისათვის.
მემამულეთა და კაპიტალისტების კავშირის წინააღმდეგ—სდგას დიდი კავშირი მუშათა და გლეხთა.
მუშათა გერმანია და ჩვენი მუშურ-გლეხური კავშირი—მშვიდობიანობისა და ძმობის საძირკველია.
გერმანიის ორთქლის ჩაქუჩი და საბჭოთა კური მთელ ქვეყანაზე გაიმარჯვებენ.

მის შენობას. სამოქალაქო ომებში ბრწყინვალე გამარჯვება ხვდა წილად მუშათა კლასს; სამეურნეო ფრონტზედაც დიდი გამარჯვება იგება მ. ნ. საბჭოთა კავშირის მშვიდობიან აღმშენებლობას გულის ფანცქალით შეჰყურებს მსოფლიო ბურჟუაზია და ცდილობს ისევ გაამწვავოს ჩვენი მდგომარეობა. ყოველგვარ ზომებს მიმართავენ საბჭოთა კავშირს წინააღმდეგ, არ ასვენებს ბურჟუაზიას საბჭოთა კავშირის გაძლიერება და ის როგორც კი გარემოებას ხელსაყრელად დაინახავს თავს დაესხმება ჩვენს რესპუბლიკებს. დღევანდელ პირობებში მით უფრო მოსალოდნელია ეს, როდესაც გერმანიის რევოლუცია წალეკვით ემუქრება ბურჟუაზიულ სამყაროს.

მშრომელ საბჭოთა რესპუბლიკებს არავითარ შემთხვევაში არ სურს ომი, ეს მან არა ერთხელ დაუმტკიცა მსოფლიოს, მაგრამ არავის მისცემს ნებას შეეხოს საბჭოთა ხელისუფლების სახელს.

ექვსი წლის ბრძოლის და შრომის გამოცდილებით, გასკეცებულ ენერგიით, შეურყეველ ნებისყოფით, ბრძოლაში გამობრძმედილი საბჭოთა უძლიერეს კავშირის მუშები და გლეხები დღესასწაულობენ დღეს ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციის ექვსი წლის თავს და ეგებებიან მეშვიდე წელს.

ალ.

მუშათა და გლეხთა კავშირი— ფუძეა ჩვენი გამარჯვებისა.
ჩვენი ძლიერება ჩვენს მეურნეობაშია, —აუმჯობესეთ ის შეუჩერებლივ.
თუ გსურს მშვიდობიანობა—აუმჯობესე მეურნეობა, დაეხმარე გლეხს, მოეპყარი მზრუნველობითა და სიყვარულით ჩვენს წითელ არმიასა და წითელ ფლოტს.

საქართველოს წითელი ჯარი.

ისე, როგორც სხვა საბჭოთა ფედერაციის რესპუბლიკებს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ჰყავს შეიარაღებული სა[illegible] წითელი არმია.

არსებული მდგომარეობა, შექმნილი იმპერიალისტურ სახელმწიფოების მიერ, გვიკარნახებს და გვაიძულებს ვიყოლიოთ იარაღს ქვეშ რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად ჯარი. ალარავისათვის საეჭვო ალარაა ის აზრი, რომ საბჭოთა რესპუბლიკები ერთად ერთი რესპუბლიკებია მსოფლიოში, რომელთაც თანახმად თავიანთი პრინციპებისა და პროგრამისა სურთ მშვიდობიანი ცხოვრება და შორს არიან ყოველ გვარ იმპერიალისტურ ზრახვებისაგან; სხვანაირად არც კი შეიძლება იყვეს და ეწოდოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. საბჭოთა ხელისუფლებას არ სურს ომი, მის პროგრამაში არ შედის გარეშე სახელმწიფოების და ერების დაპყრობა; სოციალისტური წარმოება არ საჭიროებს გარეშე ბაზრის დაპყრობას ომებით და სისხლის ღვრით თავიანთი ნაწარმოების გასასაღებლად, მაგრამ სამწუხაროდ ეს იმ სახელმწიფოებს სურს, რომელთა მუშებს და გლეხებს ვერ მოუხერხებიათ პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში ჩაგდება და რომელთაც მართავს ფეოდალურ-ბურჟუაზიული მთავრობები.

რა თქმა უნდა, საქართველო, როგორც ერთი სრულ უფლებიანი წევრი საბჭოთა კავშირის, შეუდგა გასაბჭოების შემდეგ შექმნას წითელ-არმიისას. პირველი პერიოდი, საქართველოში წითელი ჯარის შექმნის, იყო მოსამზადებელი პერიოდი, როდესაც სხვა და სხვა მიზეზების გამო დაშვებულ იქნა ზოგიერთი შეცდომები.

წითელი ჯარის შედგენის დასაწყისი არის 1921 წლის მარტის თვე, როდესაც იწყება შედგენა სამი მსროლელი ბრიგადის, თითოეულ ბრიგადაში სამ-სამი ლეგიონი (პოლკი) და თითო ცხენოსანი დივიზიონი, ერთი არტილერიის დივიზიონი (სამ-ბატარეიანი), და ერთიც საკავშირო ასეული. გარდა ამისა ცხენოსანი ბრიგადა (სამ-ლეგიონიანი), ორი ცალკე საარტილერიო დივიზიონი, ერთი მესანგრე ბატალიონი და ერთიც საკავშირო ბატალიონი.

საერთო რიცხვი მჭამელთა, შტატების თანახმად, აღემატებოდა ოცდა ხუთი ათასს, რვა ათას ხუთასი ცხენით; კიდევ ეწყობოდა სანაპირო (სასაზღვრო) ბრიგადა ორი ლეგიონით და სამი ცალკე ბატალიონებით, საყარაულო ბატალიონები, სათადარიგო ლეგიონი და ბატარეია, ცალკე საჰაერო და ჯავშნიანი დივიზიონი, ამას რომ მიუმატოთ ზურგის დაწესებულებები აღწევდა სამოცი ათასს, რის მოცემაც საქართველოში არ შეუძლიან მოგვცეს ერთი წლიანმა ნორმალურმა ჯარში გაწვევამ; ამისათვის საჭირო სამ წლიანი გაწვევა ჯარში რომელიც უთუოდ მძიმე უღლად დააწვებოდა პატარა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას, მუშა-ხელის მოკლებით.

ხსენებული რიცხვის სიდიდე, აუარებელი ხარჯები და ის ხაოტიური მდგომარეობა, რომელიც გამეფდა ჯარის შექმნის საქმეში თვალსაჩინო შეიქნა ხელისუფლებისთვის და ენკენისთვის დამლევს იწყება ნაწილების გადახალისება და ახალი ორგანიზაციული ფორმები, მაგრამ არც ამ გადახალისების დროს იქნა ჩაყრილი მტკიცე საფუძველი ჯარის ორგანიზაციულად ჩამოყალიბების საქმეში. აქ მჭამელთა რიცხვი სანახევროდ შემცირდა, მაგრამ არც ეს იყო ახლოს საქართველოს სინამდვილესთან, თანახმად საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო შეთანხმებისა, მგონი ამავე წელს ქართული ჯარები უნდა თავმოყრილიყო ერთ, შეერთებულ ბრიგადაში, რომელიც უშუალოდ უნდა დამორჩილებოდა ცალკე კავკასიის არმიის სამხედრო საბჭოს და საქართველოში გაუქმებულიყო მთავარ სარდლის თანამდებობა.

ამ დროიდანაც რამოდენიმე გადახალისება და ორგანიზაციული ჩამოყალიბება განიცადა საქართველოს ლაშქარმა. მხოლოდ ნამდვილი ორგანიზაციული ფორმა და სისტემატიური, დადებითი მუშაობა იწყება 1922 წლის დამლევს, რის შემდეგ ჯარში მუშაობას და მის შედგენას აქვს ნორმალური ხასიათი, რომლის შედეგები უკვე თვალსაჩინო გახდა ყველასათვის.

წითელი ჯარის შედგენის პირველი პერიოდი არ შეეფერებოდა წითელი ლაშქრის შექმნის სტრუქტურას, და განმეორდა ისეთი შეცდომები, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკრაინაში 1918 და 19 წ. ჯარის შექმნის საქმეში, როდესაც იქ პეტლიურას ჯარებს წითელი ჯარი დაარქვეს და ის რადიკალურად არ გასწმინდეს. მხოლოდ დღეს შეიძლება ითქვას, რომ ის შეგნებული გამომხატველი და დამცველია მუშათა საბჭოების, შრომისა და უფლების. ჩვენ ჯარს ორი რამ ასულდგმულებს: სამხედრო-სამწყობრო და პოლიტიკური მეცადინეობა. შეიძლება ჯარი მშვენივრად გაწვრთნილი იყვეს, კარგათ ისროდეს თოფიდან და ზარბაზნებიდან, მაგრამ ის ისეთი ბნელი, უვიცი და შეუგნებელი იყვეს [illegible] რომ როგორც უნდა და ისე მოიხმაროს მოწინააღმდეგემ. ჩვენს ჯარში კი ორივე სამწყობრო და საგანმანათლებლო მუშაობა ერთი მეორეს არ ჩამორჩება, ორივე პირველხარისხოვან საქმეთ არის ცნობილი.

სოციალური მდგომარეობა ჩვენი ჯარის ასეთია: 80 პროც. გლეხობა, 6 პროც. მუშები, და 11 პროც.-სხვა წოდებანი.

წერა კითხვის ცოდნის მიხედვით: წერა კითხვის არა მცოდნე—27 პროც., ნაკლებათ მცოდნე-20 პროც. კარგათ მცოდნე-53 პროც.

სარდლობის შემადგენლობა ასეთია: ის უმეტესად შესდგება ყოფილ მეფის ოფიცრობისაგან, მეტ წილად ომის დროისა. ომის დროის ოფიცრობა შეადგენს-77 პროც., ე. ი. 360 კაცს. დანარჩენი-23 პროც. ამაში.

12 პროც. ომამდის ყოფილ ოფიცრობა შეადგენს, 11 პროც.-ს კი, ისინი ვისაც ამათში არ დაუმთავრებიათ ყოფილი სამხედრო სასწავლებლები და აგრეთვე ვინც დაამთავრა სამხედრო ქართული კურსები.

სარდლობის სოციალური მდგომარეობა: 42 პროც.-ყოფილი აზნაურობა-თავადობა და სასულიერო წოდება, 58 პროც.-გლეხკაცობიდან.

ჯარში მსახურობს პასუხის მგებელ თანამდებობაზე ხუთი (5) მეფის დროის გენერალი, ოცი პოლკოვნიკი, პოდპოლკოვნიკები თხუთმეტი.

სამწყობრო მეცადინეობა, პოლიტიკური მეცადინეობა, საქმის წარმოება და სხვა ხდება მშობლიურ ქართულ ენაზე.

ნაციონალური შემადგენლობა: ქართველები—85 პროც. სომხები—7 პროც. რუსები—5 პროც. და 3 პროც. ოსები, ნემცები, ებრაელები და სხვა ეროვნებანი.

ქართულ ჯარს დიდხანს არ ჰქონდა ისეთი ორგანოები, რომლისოდაც მისი მკვიდრ ნიადაგზე დაყენება არ შეიძლებოდა 1923 წელს აღძრული იქნა შუამდგომლობა დაარსებული ყოფილიყო სამხედრო ტრიბუნალი, რომლის მუშაობამ ბოროტ მოქმედება და დეზერტირობა შეამცირა. ქართულ ჯარში პირველ და მეორე პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა სისტემატიურ დეზერტირობას; დეზერტირობა აღწევდა ოთხი ათას წითელ-არმიელს. დღეს ქართულ ჯარში იშვიათი მოვლენაა დეზერტირობა; მაგალითისათვის მოგვყავს ციფრები დეზერტირობის შესახებ 1923 წლის მაისში იყო 85 შემთხვევა დეზერტირობის, ივნისში—63, ივლისში—31, აგვისტოში—29 კაცი და სექტემბერში—7 კაცი.

ტრიბუნალის დაარსების შემდეგ დაარსებულ იქნა ქართული საგანგებო განყოფილება, რომელიც ებრძვის და ეძებს ბოროტ-მოქმედებას და დაუდევრობას ქართულ ჯარში.

ქართულ ჯარს აქვს მთლიანი სამხედრო კოოპერატივი, ხარხის ქარხანა, ძროხებისა და ღორების ფერმა, იჯარით აღებული მამული და ტყე.

პოლიტიკური მუშაობა.

1923 წლის პირველ იანვრიდან პირველ ოქტომბრამდე ჩატარდა ოცი პოლიტიკური კომპანიები, ხდება სისტემატიურად პოლიტ—საუბრები: ქართულ ჯარს აქვს ცენტრალური კლუბი ქალ. ტფილისში და აგრეთვე ყველა ნაწილებში არსებობს კლუბები, რომლის რიცხვი შეიცავს —12-ტს.

იცემა ყოველდღიური გაზეთი „წითელ-არმიელი", აგრეთვე კლუბებში არსებობენ სამხატვრო, ლიტერატურული, სასპორტო, დრამატიული, სამხედრო ცოდნის და სასოფლო სამეურნეო წრეები. ქართულ ჯარის ნაწილებში არსებობს სულ 16 ბიბლიოთეკა. გამოიცა საიუბილეო ჟურნალი წითელი ჯარის ორი წლის თავზე „წითელი ვარსკვლავი", წიგნაკი „წერილი წითელ-არმიელს", წითელ-არმიელთა საჭირო მასალებით.

წელს გაიხსნა პოლიტ-ხელების კურსები, რომელშიაც მზადდება მომავალ პოლიტ-ხელებათ 45 ახალგაზრდა.

დამტკიცებულია შტატი სამხედრო პოლიტიკური სკოლის, რომელიც ჯერ ჯერობით ბინის უქონლობის გამო არ გახსნილა.

იმ 27 პროც. რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა უკვე შეისწავლეს წერა-კითხვა. წითელი-ჯარის პოლიტიკური განყოფილების საავიტპროპ. ნაწილში არსებობს სამოსწავლო სექცია, შტაბში მყოფ მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 18 მასწავლებელს, გარდა ამისა წერა-კითხვის სასწრაფო ლიკვიდაციისათვის აყვანილ იქნა პოლიტგანყოფილების ხარჯზე 40 მასწავლებელი. საერთოდ დღევანდელი მდგომარეობა ქართული ჯარის საგრძნობლად გაუმჯობესებულია და მისი მომავალი დიდია.

უპარტიო სარდლობაში მოხდა საგრძნობელი გარდატეხა და საბჭოთა ხელისუფლების ერთგულების დაცვაში ერთი-მეორეს ეჯიბრებიან.

ჯარში არ ჰქონია ადგილი გარდა ერთი შემთხვევისა-ლალატს, რომელიც გამოიხატა სამი ოფიცრის პარიტეტულ კომიტეტთან კავშირში; ჩოლოყაშვილის ბანდებთან ბრძოლაში და გურიის და სვანურ ბანდების ლიკვიდაციაში. ქართულმა ჯარმა მიიღო პირველი მონაწილეობა, სადაც დამტკიცა ერთგულება საბჭოთა ხელისუფლების წინაშე.

ეჭვი არ არის, რომ სულ ადრე ქართული წითელი ჯარი ისეთივე გაწვრთნილი და მცოდნე იქნება, როგორც არის რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახელოვანი წითელ-არმია და ქართული ჯარიც დაუმტკიცებს საბჭოთა ფედერაციას თუ როგორ უნდა ბრძოლა და დაცვა მუშათა რევოლუციის.

თენგიზ ელენტი.

გზა ჩვენს მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას,—მას მოაქვს ბრწყინვალე მომავალი ჩვენი ქვეყნისათვის.
წითელი არმია და წითელი ფლოტი—ეს არის ჩვენი ხმალი და ფარი, იჩქარეთ მათ დასახმარებლად.

ოქტომბერი სარკეში.

(ესკიზი).

სალვინობისთვე შემოდგომა...

ტყვიისფერი დღე...

ბურუსის მანტია წამოსხმულ ქარს იალქნები აუშვია...

დრუბელთა ბალიშზე თავი დაუდვია თმა გაწეწილ მზეს და ნაავდრმყოფარ თვალთაგან ცრემლთა მარგალიტები სცვივა...

ცა შერკინული ჰკივის და... დაჭრილი გულით აწვიმებული სდის ნაკადული სისხლის, ჩამოღვარული ბარიკადებზე იშლება წინწკლებად ალ-მოდებულ დროშის ფუნჯებზე.

ილებებიან ქვაფენილები...

რაღაც გამოუთქმელი შიში გადაწოლილა ლეგენდარულ გველეშაპივით.

ქალაქი თითქოს დინამიტებზე სდგას...

სადღაც აზარმაცები იჭედება სასახლეთა ასაყირავად...

ფოლადის სალტეები იკლაკნება ელვის ენებით...

რუხი ფარაჯები—და სჩანან ქუჩებზე, რომელთაც უცნაურ ბედისწერებივით გადმოჰყურებენ შუბლ—შენაოჭებულ ქარხნის ბუხრები...

ლურჯი ხალათები იცხრილება ტყვიით...

ტრამვაები ყირავდება...

ტყვიისმფრქვევები ეჯიბრებიან თოფებს და დაჭრილი ზარბაზანი ბანს ეუბნება...

ზანზარებს ლეგა ქალაქი...

ფაფარაყრილი ცხენები მიაქროლ

გზა ჩვენი გლეხის კურს გერმანიის მანქანაზე გადასაცვლელად!

საბელი გერმანიის რევოლიუციის ყელზე აიძულებს ჩვენს გლეხებს მეფის ვალები გადაიხადონ,—მაშ გაუმარჯოს გერმანიის რევოლიუციას.

კავშირი თეთრ გერმანიასა და მეფის გენერლებს შორის სიკვდილს მოუტანს თავისუფალ გლეხს, ხოლო მუშას კი ბორკილებს.

გერმანიის გაძარცვას ჩვენი მშრომელთა კავშირის გაძარცვა მოჰყვება, იყავით მზად!

ფაშისტურ ჯალათებს, თეთრ გენერლებს, მეფის ლაქიებს—სიკვდილი!

ჩვენი რესპუბლიკის ერთა ძმური კავშირი—საიმედო სიმაგრეა კაპიტალისტ მტაცებლების წინააღმდეგ.

ბენ ხმალ-ამოღებულ გუსარებს.. არტილერია ანგრევს მუშათა უბნებს და... შეტევაზე გადადის ქვეითი. სისხლი, კვნესა, დაჭრილები, დახოცილნი...

შეკუმშულ ჰაერს არღვევს სიტყვა:

— ამხანაგებო!

და სიტყვებთან ერთად ბარიკადიდან ძირს ეცემა წინამძღოლი მუშა, რომელიც დროშას ხელს არ უშვებს და... გაღეღილ მკერდით გამონადენ ორთქლ ავარდნილ სისხლის რუზე იფარებს. ცეცხლ წაკიდებული დროშა შექცევა მუქლის ფრად...

— ტრახ! ტრახ! ტრახ!!!

— ტრატა, ტა, ტა, ტა!..

— ბუმ! ბუმ!! ბაც!!!

ისმის მრავალნაირ იარაღთა ამაზრზენი კონცერტი, და ჰარმონიულ ფრთათა შრიალით დაჰზუზუნებს გადამსხვრეულ გუმბათებს...

— ასეულო, მარჯვნივ! იარ!!!

მუსიკა გრიალებს... ბარაბანი ქირვეულობს...

— ასეულო, მარში! პირდაპირ ქარხნის ალაყაფის კარებს, თაფ!!! და ინგრევა ბარიკადები... ნანგრევებზე იგება ახალი...

ისმის ხარხარი იუნკრებისა..

სახლების სახურავებიდან კვლავ ცეცხლს უშენენ მუშები, მუშა-ქალები აგურებს ისვრიან, ბავშვი მოდის წმინდამასავით ჯარებზე...

ჯარი შეტორტმანდა... მუშების თავგანწირულება ჰხიბლავს მათ და..

სისხლის გუბეების სარკეში ხედავენ ძმობის გამოხატულებას ზღაპრულ სიმბოლოდ... და პირი იბრუნეს... მეზღვაურებმა მდინარის შესართავიდან დაუშინეს საზამთრო სასახლეს... „ავრორა“ გალუფებული ჰკრეფულობს. ინგრევა მოღალატეების შტაბი, და... მოიჭრიან ავტომობილები ქუდ-გადაგლეჯილ მინისტრებით.

ჯარმა ყურინი დაცა. თოფებმა წითელი ენები გამოყვეს, რევოლიუციონერთა რაზმები მოედინენ რუხი ქალაქის ქუჩებს..

გაისმა ინტერნაციონალის ჰიმნი და სიხარულის ცრემლთა შადრევანმა აღმოხეთქა განთავისუფლებულ მონათა და მხევალთა თვალთაგან..

ცეცხლის ენები ცაზე აიკლაკნა და აჰხაზა უცნაური სურათი მზის სხივებით დაცრილ ფონზე:

მუშა სდგას შუაში ჩირაღდნით მარცხენა ხელში და მარჯვენით უროზე დაყრდნობილი, მარჯვენით სდგას მეზღვაური წითელი დროშით, მარცხენით ჯარის-კაცი-თოფით, და საშიელ ზურგს უმაგრებს გლეხი, რომელსაც ხელში უჭირავს გმირთა დასადაფნავად გვირგვინი შრომის სიმბოლოების ცისკრონენების; გაბრწყინებულ ჩაქუჩ ნამგალში ხუთქიმიანი ვარსკვლავი მოწამული მზერით დაჰნათობს მსოფლიოს ხუთივე მატერიკს. მშრომელი დედა ყვავილებს უშლის გმირებს და გაჰკივის ჰეროლდის საყვირი თავისუფლების ჰიმნს... ყრმა კომუნა იმუქრება სამყაროს დაპყრობით, მზე უკოცნის ლალის ტუჩებს...

ხელი.

ნაცრისფერ დღეებში.

(მეცხრე ციკლი პოემიდან: „ეშაფოტი“).

..და, ლენინობისთვის ანისლულ ქათიბს
შვენოდა წითელ დროშის ღილები;
ბარიკადების პროფილს,—ცეცხლ ნათიბს—
იცავდენ საკინძ-გაღეღილები!..

* *

ცას გადეკლაკნა ლეგენდის ჯვარცმა,—
კვართი აევლო სისხლის გუბეებს;
ქალაქმა ტყვიის ინება ღვართ სმა...
ავრორა ანგრევს ბრძოლის უბეებს!..

—

ქარი რქა ფოფარ-ნაყარი ქშუის...
სუნი სდგას დენთის,—მზის კოცნად მხუთი;
და, ზარბაზნი, დაჭრილი, ღმუის,—
უკმაროს ჩხატავს თვის 25.

—

და, ტყვიამფრქვევი ქუჩის ნოტებზე
ფლეიტას უკრავს,—გიჟური მარშით;
თოფი პა,დე სპან-ს—ბრძოლის ლოთებზე—
სცეკვავს—ქვაფენილს ეშლება შარში!..

—

მდინარეს მიაქვს სამეფო სკიპტრა,—
ტახტი დაუშვა ძირს, მძლე ჩაქუჩმა;
უცნაურ მზერამ ღმერთები იპყრა,—
დაიღრიალა ბოლმამ, ნაქუჩმა!..

—

შეირყა, ქოხით, ფუძე სასახლის,—
ბანოვანი ღვრის ცრემლებს, ცახცახით;
—თქვენი პაროლი?!—გუშაგი ახლის
ყველა გამვლელებს, მღიმარე სახით!..

—

სამყარომ პირი იბრუნა ყირად,—
ხმალმა დაარტყა ბეჭებზე ყუა;
მსოფლიომ ეთერს არ მისცა ქირა,—
ბრბო ვარსკვლავების შუქებზე სტყუ!..

—

ქოხნებმა ბუხრის ასწიეს ანძა,
ზე აიშალა ზიირალთ აფრა;
მღერა ხანძარის ალმა ალანძა,—
გადაინამგლა მთვარე ჭიაფრად!..

—

ფარაონების იძრა აკლდამა,
საიდუმლოის აიხსნა ფარდა:
მხილება სფინქსის აღარ აკლდა მას,
და... საუკუნეს სარტყელად ჰბარდა!..

—

ყრუ ქვეყნის ბურთი გადახუთქიმდა.
დაკოჟრილ ხელმა ასწყვიტა ნება;
შორი ხმაური ჰიმნს აუწვიმდა,—
მეტეორებზე, რაინდებს ვნებად!..

—

რაღაც აკორდის იელვა სიმმა,
და აიკინძა კუბოთა მძივნი;
რა დაიკვნესა წყევის ციმციმმა,—
აიშნენ თოვლის ქულები, ცივნი!..

—

ეშაფოტს წასკდა სიცილი... და... აქ
თავმა მშვიდობა უსურვა, გზად, ტანს;
ბუკს ეს ამბავი ფრთებზე თან დაჰქვს,
შემდეგ პილიგრიმთ, ლოცვაზე ატანს!.

—

მანქანამ სილა გაჰკრა დროებს,—
სალტემ თავისი უთხრა მარდობა;
და მიწა დედა ბეწვზე მოება,
რომ აეზიდა ზღვის ჯომარდობა!..

—

მოეგმა გადიძრეს ქუდები, ბრაზით,
ღვთაების სიტყვებზე ამოყვეს ენა;
მონა—აქამდის ნაკეტი რაზით—
თავისუფლების სულს მიესვენა!..

—

უსაზღვროება ილმა ქვიშით,—
უცნობ ეტრატზე აბა სიგელი;
ახალ მანიფესტს არ ენდო შიში—
მკლავზე აეხვა, ალმასით, გველი!..

—

და, ზღაპრულ კონცერტს შვენის არფილი,
ლანდი ტაშს უკრავს ალის ფერიებს;
ნატვრა, ლაღ ბაგით მდენი, ფარფული,
გმირებს გულს უბნევს ფირუზფერ იებს!..

—

დოლს სცემს ფოლადი რკინის ზურნაზე...
ისმის: სვენა! თაფ!!—სიფლავი ხვნეშის;
პოლიუსები სწყდება ურნაზე,—
ტვინს ასდის ბოლი ცბიერთა ფირხით ქვეშით!

—

მზემ ჩამოუშვა აბრეშუმის იმა,
ზედ წევს კომუნა ყრმა და გიმალე;
და იფეთქება წლის მეათე თქმად,
ნანას უგალობს მხიბლავ რიგრაქით!..

—

ნერვი, დაჰმვით იბმის ბზის ფონზე,—
და მიაქრქავს ბებერი, ხვლიით;
ჯალათი—ბოქსით—სიდლაც ზის, ომზე,—
ჯაშუშს გაუსკდა, ელდით, ნაღველი!..

—

და, პირ-ყირმიზა ტრიბუნი იწვევს...—
რაზმი-რაზმს მოსდევს.—და... პოეტს ია
სისხლით უბრწყინავს გულზე, და იწვევს
მაღლა, ორიონს, წვის პოეზია!..

* *

და, ლენინობისთვის ანისლულ ქათიბს
შვენოდა წითელ დროშების ღილნი;
ბარიკადების ნანგრევთ—ცეცხლ ნათიბს—
დარაჯად ედგენ მკერდ-გაღეღილნი!..

სეზმან ერთაწმინდელი

ოქტომბრის რევოლიუცია და საქართველო.

დღიდან ოქტომბრის რევოლიუციის მეხის გავარდნისა ამიერ-კავკასიაში მოკალათებულმა ნაციონალისტების პარტიებმა მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატებმა აღმართეს რევოლიუციონურ რუსეთსა და ამიერ-კავკასიის შორის ჩინური კედელი და ცდილობდენ დაეცვათ ოქტომბრის რევ. ძლიერ ტალღებისაგან ამიერ-კავკასია.

ქართველ მენშევიკების მეთაურობით ამიერ-კავკასიის და საქართველოს მშრომელი ხალხი მოწყდა მის თანამოძმე რუსეთის მშრომელებს. რუსეთის მუშათა კლასი და ღარიბი გლეხობა სისხლისაგან იცლებოდა გარშემორტყმულ უამრავ მტრებთან ბრძოლაში რათა შეენარჩუნებიათ რევოლიუციის მონაპოვარი და განემტკიცებიათ მუშურ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლება, საქართველო-კი მოწყვეტილი რუსეთის მშრომელთაგან მენშევიკების მეოხებით განზე იდგა და ვერავითარ დახმარებას ვერ უწევდა რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატს. ოქტომბრის რევოლიუცია მენშევიკებმა ავანტიურად გამოაცხადეს და მისი დაცემის დღესაც კი წინასწარმეტყველებდენ.

საბჭოთა რუსეთი სამოქალაქო ომის ცეცხლის ალში იყო გახვეული. რუსეთის მრავალ მილიონიანი მუშები და გლეხები სიკვდილ-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდენ მემამულეებთან, შავ გენერლებთან და სისხლის მსმელ ბურჟუაზიასთან. მრავალი ათასი და ასი ათასი მშრომელი შეეწირა რევოლიუციას. რუსეთის თვალუწვდენელი ველები მორწყულია მშრომელთა სისხლით, მოფენილია მათი ძვლებით. თავგანწირული ბრძოლა გადაიტანა რუსეთის მშრომელ ხალხმა, მათი რევოლიუციონურ შეუდრეკელ ნებისყოფამ და ფოლადისებურმა სიმტკიცემ სძლია შავ ხროვას, მიწასთან გაასწორა ბურჟუა-მემამულეები; აღგავა რუსეთის მიწა-წყლიდან იმპერიალისტების მიერ მოსყიდული მეფის გენერლები; შეკრა ზავი საფრანგეთის იმპერიალიზმის მონა პოლონეთის ბურჟუაზიასთან და ამის შემდეგ საბჭოთა რუსეთის მშრომელმა ხალხმა ცოტათი შეისვენა.

იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებიდან რუსეთის მეურნეობა და მრეწველობა სრულიად მოიშალა, განადგურდა. ახალ სიმდიდრეს არავინ ჰქმნიდა, ვინაიდან მუშათა კლასი გართული იყო მტრებთან ბრძოლაში, ძველი კი გამოილია და სამოქალაქო ომების გათავების შემდეგ საბჭოთა მთავრობა დადგა პირისპირ სილატაკესა და აფორიაქებულ მეურნეობა მრეწველობის წინაშე. მაგრამ მშრომელი ხალხი ოდნავადაც ვერ შეაშინა ასეთ მძიმე მდგომარეობამ და ის კომუნისტურ პარტიის მეთაურობით, რომელიც ხელმძღვანელობდა მათ ბრძოლას და კიდეც გამოიყვანა ამ ბრძოლიდან გამარჯვებული, შეუდგა მეურნეობა, მრეწველობის მოგვარებას. საბჭოთა რუსეთის მუშებმა და გლეხებმა დროებით გადაღვეს თოფი და ისევ დაუბრუნდნენ ქარხნებს და სოფელს.

მაგრამ საბჭოთა რუსეთის მშრომელებს არ ასვენებდენ მტრები შიგნით ათასგვარი ბანდიტები თარეშობდენ, გარედან კიდევ ცდილობდენ იმპერიალისტები შეიარაღებულ თავდასხმას საბჭოთა რუსეთზე. დასავლეთის იმპერიალიზმის და ყოველი ჯურის კონტრ-რევოლიუციის თავშესაფარი შეიქმნა ამიერ-კავკასია, კერძოდ კი საქართველო.

საქართველოს მენშევიკური მთავრობა ჯერ კიდევ საბჭოთა რუსეთსა და თეთრგვარდიელებთან ბრძოლის დროს ყოველმხრივ ხელს უწყობდა მშრომელი ხალხის მტრებს—მეფის გენერლებს, მემამულეებს და ბურჟუაზიას. ჩრდილოეთ კავკასიაში გაბატონებული გენერალი ალექსეევი მხურვალე თანაგრძნობას პოულობდა მენშევიკ საქართველოსაგან. „ჩვენ ერთ წერტილში ვცემთ, ჩვენი მიზანი ერთია—ბოლშევიკების დამარცხებაო,“ ეუბნება მენშევიკი მინისტრი გენერალ ალექსეევს 1918 წელში. ეს ერთი მაგალითი. რამდენი კიდევ ასეთი უამრავი ფაქტებია მენშევიკების მოღვაწეობაში რუსეთის მშრომელი ხალხის წინააღმდეგ მიმართული.

საქართველო გადაიქცა ჯერ გერმანიის და ოსმალეთის იმპერიალისტების საჯიჯგნავად, შემდეგ კი ანტანტის იმპერიალისტების სათარეშოდ. ინგლისის იმპერიალისტური ჯარი ისე გრძნობდა თავს საქართველოში, როგორც საკუთარ სახლში. მენშევიკებმა გზა მისცეს ინგლისის ჯარებს რევოლიუციონურ რუსეთის წინააღმდეგ და მენშევიკების შემწეობით ინგლისის გენერლები საომარ იარაღს აწვდიდენ და ყოველგვარ დახმარებას უწევდენ ჩრდილოეთ კავკასიაში მოთარეშე კონტრ-რევოლიუციას. ანტანტის იმპერიალიზმი იყო ფაქტიურად საქართველოს ბატონ პატრონი, მენშევიკები კი მისი ყურმოჭრილი მონა-მორჩილი. „დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებსო,“ განაცხადა მენშევიზმის ბელადმა ჟორდანიამ. და ის და მისი პარტია სისწორით ასრულებდა ამას. დასავლეთის ყაჩაღებთან ერთად მუშურ-გლეხურ რევოლიუციის წინააღმდეგ იბრძოდენ ქართველი მენშევიკები. საქართველოს მენშევიკური მთავრობის ისტორია—წარმოადგენს მუშებთან და გლეხებთან ბრძოლის ისტორიას. შინ აჯანყებულ გლეხებთან დაუზოგავი ბრძოლა, კომ. პარტიის დევნა, კომუნისტების წამება და სიკვდილი, გარეთ კი აქტიური, ყოველგვარი დახმარება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ გენერლებისათვის. აი სურათი მენშევიკების არსებობისა საქართველოში.

მაგრამ ოქტომბრის ძლევამოსილი რევოლიუცია თავისი გზით მიდიოდა. კომუნისტურ პარტიის მეთაურობით რუსეთის მუშებმა და გლეხებმა მიწასთან გაასწორეს შინაური კონტრ-რევოლიუცია, აიძულეს ხელი აეღო შეიარაღებულ ბრძოლაზე გარეშე კონტრ-რევოლიუციას. საბჭოთა ხელისუფლება გამტკიცდა შავი ზღვიდან თეთრ ზღვამდე და ბალტიის ზღვიდან დიდ ოკეანემდე. ოქტომბრის რევოლიუციის ტალღები არ შეჩერდა ამიერ-კავკასიის ქედზე, მან გადალახა მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატელების მიერ ხელოვნურად აღმართული კედელი და წალეკა ამიერ-კავკასიიდან მშრომელი ხალხის მოღალატე მთავრობები, გაანთავისუფლა ამიერ-კავკასიის მუშები და გლეხები ბურჟუა-მემამულეების ჩაგვრისაგან და ისევ გაუწოდა ამიერ-კავკასიის მშრომელებმა ძმური ხელი რუსეთის მშრომელებს. მუშურ-გლეხური წითელი არმია, მრავალი ბრძოლების შემდეგ სწვდა ამიერ-კავკასიის ბურჟუაზიის და მემამულეების მთავრობებს და დაამკვიდრა აქაც მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

საქართველოს მშრომელმა ხალხმა ოქტომბრის რევოლიუციის ნაყოფი იგემა მხოლოდ 1921 წლის 25 თე-

მტკიცედ შეკავშირდით კომუნისტური პარტიის, ოქტომბრის რევოლიუციის ხელმძღვანელის გარშემო, რომელმაც დაამარცხა დენიკინი, კოლჩაკი, ვრანგელი და იუდენიჩი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შემოკრბით კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

ღალატი.

(ოქტომბრისათვის)

თებერვალი.

... მოთმინების ფიალა ივსება!

შხამ გესლით დამძიმებული ქუჩა აბმაურდა და ოკეანეს ტალღებით ავგორა ქუჩებში მისი უშიშარი და თავგანწირული ლტოლვა უკუნებით აღგზნებული...

დემონი შეკრთა...

...გველეშაპი პირქვე დაემხო და სულ გატრუნული დაეფლა ყოფნის ბედის წყრას.

შრომის ღმერთები წითელ ლანდებათ მოეფინა ქუჩებს ფხაჯაყრილ იალქნებით ააფრიალა წითელი დროშები.

მიკრიკი!.. სწრაფი და მალი შიკრიკი, ბრძანა თავისუფლების ხმამ, და ელვის სისწრაფით აცნობა მუშათა სამეფოს ისტორიული აქტი.

შრომის სამეფო ახმაურდა...

მირკალებ და წყვეტილმა ამირანმა მძლეთ ჩამჭიდა ხელები შრომის ემბლემას და მოსკოვის, პეტროგრადის ეკრანზედ ააფრიალა.

კრემლში ზეიმია..

გველეშაპი კრთის, კვდება, წუთი უკანასკნელი მისი დათვლილია...

თავისუფლება!...

თავისუფალი ქუჩები ალლუმს მართავს და დროშას აბარებს თავიანთ მესვეურთ.

ღალატი!!!

ეს რას ნიშნავს!?

ნუ თუ!?

ოქტომბერი.

ღალატი...

ცის ეტრადს შავი ღრუბლები შემოეპარა ჰორიზონტზე ნელ-ნელ დაეშვა ღალატის აჩრდილი...

შრომის ემბლემა ძირს ეშვება...

შიში.., საშინელი შიში ეპყრობს ქუჩებს, დემონი ბედის აღდგენას ლამობს...

გველეშაპი შხამს ამზადებს გადმოსანთხევად, რომ მოსწამლოს სიყვარულით და სათნოებით განახლებული ქალაქი.

მიკრიკი! მალი, ესმა მკვლევ ხმა იდუმალების.

ელვის სისწრაფეც ეცნობა შავ უბნებს...

დროშა ეცემა!

ღალატია —

ღალატი!..

შრომის რაზმმა მკვლავ ცეცხლის ზვირთებათ მოედო ქალაქის ქუჩებს, და თებერვლის ღმერთები გულმკერდ გაპობილი დედა მიწაზედ გაშლართა...

ძირს დაშვებული მუშური სისხლით შეღებული დროშა ზე აღმართა და ზედ ოქტომბრის სახე ამოქარგა.

ოქტომბერი იშვა....

ის გამტკიცდა და მას ოქტომბრის რაზმი სდარაჯებს დღეს.

საუკუნე.

ზეიმია...

ოქტომბური იზრდება თავის სიძლიერით და მსოფლიოს წითელ თაიგულ უმზადებს...

დღეს ზეიმია...

ჩვენც ვზეიმობთ და გვიხარიან.

იუდა მოკვდა თებერვლის სულთან და შავი სუდარა გადაეფარა მას.

გოგიტო ციმბირელი.

ჩვენს წითელ ჯარს

ყაზარმების შეკეთება.

ცალკე საკავშირო ასეული გადავიდა ახალ ბინაზე თუ არა შეუდგა ბინების შეკეთებას. პირველ რიგში შეკეთებული და მოწყობილი იქნა წითელ არმიელთა სადგომები, შემდეგ კი სანივთე, ტეხნიკური საწყობები და სხვა.

წიგნთ საცავ სამკითხველოს დათმობილი აქვს დიდი და კარგი ოთახი თვალსაჩინო ადგილას. სამკითხველოსთვის შეფის თანხიდან შეძენილ ახლად გამოცემული პოლიტიკური ხასიათის წიგნები და სხვა საბიბლიოთეკო ნივთები.

ყველა ამ საქმის მოგვარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით შეწობის მომწყობ კომისიას, ასისთავს და სამხკომს, რისთვისაც ჩვენი გულწრფელი მადლობა მათ.

სვირელი.

პირველ ლეგიონში

ა. წ. 18 ოქტომბერს შესდგა პირველ ლეგიონის წითელ არმიელთა და უფროს ლეგიონის საერთო კრება. თავმჯდომარეობდა ამხ. ბიბლიაძე. მიმდინარე მომენტზე მოხსენება გააკეთა ლეგიონის მხედრობამ ამხ. კალანდაძემ, მან მეტად გასაგები ენით დაასურათა დღევანდელი მდგომარეობა, შეეხო გერმანიაში წარმოებულ სამოქალაქო ომს, ბრძოლას შრომასა და კაპიტალს შორის, მრავალი ფაქტებით ნათელყო კრიზისი ბურჟუაზიისა, მისგან მოსყიდულ პარტიებისა და ფაშისტების საზიზღარი მოქმედება. მოხსენებას დარბაზი ხმაურიანი ტაშით შეხვდა და გამოიტანა სათანადო რეზოლიუცია, რომელიც შემდეგი სიტყვებით თავდება: „ჩვენ პირველი ლეგიონის წითელი მოლაშქრენი ვიძლევით პატიოსან რევოლიუციონურ სიტყვას, რომ თუ ჩვენი მუშური მთავრობა მოგვიწოდებს მსოფლიო დამქაშების და გერმანიის რევოლიუციის დამქაშების წინაამდეგ საბრძოლველად, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ გერმანიის მშრომელების ინტერესებისათვის. გაუმარჯოს გერმანიის რევოლიუციას, გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და მის ბელადებს ლენინს და ტროცკის. გაუმარჯოს წ. არმიას".

მიმდინარე საკითხებში იყო საკითხი პრესის შესახებ. სამხკომმა განმარტა პრესის მნიშვნელობა და მოუწოდა დამსწრეთ ჩვენი საყვარელი გაზეთის „წითელ-არმიელ"-ის დახმარებისაკენ. კრებამ დაადგინა გადაიდოს კუთვნილი თვიური ჯამაგირიდან ერთი დღის ხვედრი ფული განურჩევლად ხარისხისა და უსურვებს გაზ. „წითელ არმიელს" მეტი შეგნება შეეტანოს წითელ არმიის რიგებში. ლეგიონის ორკესტრმა შეასრულა ინტერნაციონალი რის შემდეგ კრება დაიშალა.

სამხკორი შ. როხნაძე.

შარადა.

თერთმეტი ძმა ჰყავს, თვითონ კი
მამის მეათე შვილია...
(ნათლია მასაც გაგიცნობთ—
მას მამას ჰქვიან ილია)

წითელ ტანსაცმელს ატარებს
(ეს ფერი უყვარს ძალიან)
რაში ჰყავს წითელ ფერისვე
მეტად მძლავრი და მალია.

ექვს წელში მოვლო რუსეთი
(ეს არ გეგონოთ ხუმრობა!)
დღეს დასავლეთში აპირებს—
უნდა ევროპის სტუმრობა.

ეხლა კი მისი სახელი
გასაგები მგონია
და თუ ეხლაც ვერ გაიგე
თავში ნახერხი გქონია.

ყუმბარა

აკროსტიხი.

გუგუნებს დღეს მეექვსე წელი...
ალმოდებული ფრიალებს დროშა;
უამრავ მუშის დაკოჟრილ ხელით
მსოფლიო უკვე ზურგს აქცევს დროს
შავს!
ახუთქმებულ სისხლისფერ ვარსკვლავს
რეერაჟის ფრთებზე შვენის ციმციმი;
ჯარი წითელი, ყიჟინით ჰმლის მკლავს
ომ გადახდილი ტყვიების წვიმით!..
საამო ხმების გაისმის მარში—
ოაზისები ეხლა შენდება;
ქუსლი ჰკრა გმირმა, ცხენს, ცეცხლის
ქარში,
ტაშის ხმაურში ჰიმნი შვენდება
ორიონების ელვარ ფუნჯებზე.
მალ-გაქანებით კომუნის ნება
ბანოვანების თვალებ-ლურჯებზე,
ემბორება მშრომელთა ვნებას!..
რისხვით მიდიან ჩვენი ჯარები
სილა გააწნეს მზეს, შერკინებით!
მარდის ტუჩებით გაისმის: ვაშა!
აყვავილებენ ქარხნებს, ყაზარმას;
შიშით ძრწის მტერი...—მეშვიდე წელზე
აყირავებენ...—სთლიან აზარმაცს!..

დიშა

ბერვლიდან..ამ დღეს საქართველოს მუშებმა და გლეხებმა წითელი არმიის ძმური დახმარებით უკუაგდეს მენშევიკური მთავრობა და გადაისროლა ის შავ ზღვაში. მენშევიკებმა თავის აღსასრულის უკანასკნელ დღეებში კიდევ ერთხელ ჩაიდინეს უდიდესი დანაშაული მშრომელი ხალხის წინაშე—დაღვარეს უმანკო სისხლი საქართველოს და რუსეთის მუშების და გლეხების. შესძლეს ქართველი მუშა და გლეხი დაეპირდაპირებიათ ფარაჯაში გახვეულ რუსეთის მუშის და გლეხისათვის.

დღეს საქართველოს მუშები და გლეხები დღესასწაულობენ მთელ კავშირის მუშებთან და გლეხებთან ერთად ოქტომბრის უდიდეს რევოლიუციის ექვსი წლის თავს. საქართველოს მშრომელებს მესამეჯერ უხვდებათ თავისუფლად იდღესასწაულონ ეს ბრწყინვალე დღესასწაული—შრომის კაპიტალზე გამარჯვების დღე.

დიდი მიღწევანი ამ ექვსი წლის განმავლობაში, ცხოვრების ყველა დარგში, როგორც რუსეთის, ისე სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მიერ.

რა მისცა კერძოთ საქართველოს მშრომელ ხალხს ოქტომბრის რევოლიუციამ?

საქართველოს მუშები და გლეხები განთავისუფლდნენ ბურჟუაზიის და მემამულეების ბატონობისაგან. დაამსხვრიეს რა მათი ბატონობა შექმნეს საკუთარი, მუშურ-გლეხური ხელისუფლება. დღეს საქართველოს ბატონ-პატრონი თვით მუშები და გლეხებია. მთელი მართვა-გამგეობა სახელმწიფოსი მშრომელთა ხელშია, რომელთა ნებისყოფის ამსრულებელია კომ. პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მთელი მიწა გადაეცა მშრომელ გლეხობას. სოფელში აღმოფხვრილი იქნა ძირფესვიანად ფეოდალური ნაშთები და მუქთა ხორა მემამულეები განდევნილ იქმნენ სოფლიდან, მიწა კი გადაეცა მხოლოდ მიწის მუშას. ამას გარდა, საბჭოთა ხელისუფლების მთელი ყურადღება საქ. მშრომელ გლეხობის მდგომარეობისაკენაა მიქცეული. სოფელში იგზავნებიან აგრონომები და მრავალი გამოცდილი პირები, რომლებმაც უნდა ასწავლონ გლეხობას მიწის წესიერად და ახალ საშუალებებით დამუშავება. სოფლებში გაყავთ სარწყავი არხები, აშრობენ ჭაობებს. საბჭოთა მთავრობა ყოველგვარ საშუალებას მიმართავს რათა გლეხობას მიეცეს სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

მთელი ქალაქის მრეწველობა გადავიდა საბჭოთა სახელმწიფოს ხელში ან უკეთ კერძო მესაკუთრენი მას არა ყავს, მუშების ექსპლოატაციას კერძო კაპიტალისტი არ ეწევა. წარმოება თვით მუშის ხელშია, მუშების კონტროლია წარმოებაზე დაწესებული, ქარხანას თუ ფაბრიკას განაგებს მუშების ნდობით აღჭურვილი, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული დამცველი პირი. შრომის ხელფასიც დღითი დღე იზრდება და ომამდე არსებულ ხელფასს თითქმის უახლოვდება. მუშათა ცხოვრების პირობები მრავალჯერ გაუმჯობესდა; მუშას აქვს შესაფერი ბინა, მას აქვს საშუალება წაიკითხოს ჟურნალ-გაზეთები, წიგნები, დაესწროს სალამოებს, წავიდეს თეატრში და სხ.

დიდი წარმატებითი ნაბიჯები იქმნა გადადგმული საქ. საბჭოთა ხელისუფლების მიერ განათლების დარგში. თუ წინათ მხოლოდ მდიდრის შვილს ქონდა საშუალება ესწავლა, დღეს ყველ მუშას და გლეხს აქვს საშუალება ისწავლოს და შეიძინოს სათანადო ცოდნა. დაწყებითი უფასო სკოლებით მოფენილია მთელი საქართველო. ღარიბ მუშის და გლეხის შვილს უფასოდ ურიგდება სასწავლო ნივთები და სხ.

მრეწველობა წარმატებით მიდის წინ. ამუშავებული იქნა ჩითახის თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა. ქ. ქუთაისში გაიხსნა საქსოვი ფაბრიკა. ელექტროფიკაციის საქმე სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. ზემო ავჭალის ელექტრონული სადგური დიდი მიღწევაა საქ. საბჭოთა მთავრობის. ასევე ხდება საქართველოს სხვა ადგილებშიაც.

უდიდესი მიღწევა საბჭოთა ხელისუფლების არის საბჭოთა კავშირის შექმნა. საბჭოთა რესპუბლიკები გაერთიანდენ ერთ ძმურ ოჯახში. კავშირის ყველა ხალხები თანასწორუფლებიანი არიან. მეფის რუსეთის ეროვნულ ჩაგვრას ბოლო მოეღო და ყველა ერები თანასწორი უფლებებით არიან აღჭურვილი. ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ ხორცი შეასხა ლოზუნგს ერთა თვითგამორკვევის და თანასწორუფლებიანობის შესახებ. კერძოთ ამიერ-კავკასიაში მოისპო ეროვნული შუღლი და მტრობა. ბრძოლის და სისხლის ღვრის ნაცვლად ამიერ-კავკასიის ერები ხელი ხელ ჩაკიდებულნი მუშაობენ და აშენებენ სოციალისტურ სახელმწიფოს.

საქ. საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა ქართული წითელი ლაშქარი. ქართული წითელი არმია ღვიძლი შვილია ოქტომბრის რევოლიუციის ისე, როგორც რუსეთის წითელი არმია. ჩვენს წითელ ჯარს თავის არსებობის ორი წლის ნახევრის ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში იზრდება და მტკიცდება საქ. წითელი არმიის რიგები. საქართველოს მშრომელები დარწმუნდენ, რომ წითელი არმია მათი ინტერესებისათვის მებრძოლია და კიდეც უწევენ მას ყოველგვარ დახმარებას. წითელი არმ ისადმი თვისი დამოკიდებულება საქ. მუშებმა და გლეხებმა დაამტკიცეს 1901 წ. დაბადებულთა ჯარში გაწვევის დროს. წითელ ჯარში სწარმოებს სამხედრო მეცნიერებასთან ერთად კულტურ-განმანათლებელი მუშაობა. მეფის ჯარს ასწავლიდენ ყაზარმაში ყოველგვარ სისაძაგლეს. ჯარის რიგებიდან ის ბრუნდებოდა სახლში შრომაზე გადაჩვეული და გონება დახლუნგებული; წითელი არმიელი კი ყოველმხრივ დასრულებული, შეგნებული მოქალაქე ბრუნდება უკან. წითელი ყაზარმა—სკოლაა, სადაც წითელი არმიელი იძენს ყოველგვარ ცოდნას. დიდი ყურადღება ექცევა წითელ არმიელთა ოჯახებს, მათ მთავრობა დიდ დახმარებას უწევს. საბჭოთა ხელისუფლების ექვსი წლის არსებობის შემდეგ შესაძლებელი შექმნა მუდმივი ჯარის სამილიციო სისტემაზე გადაყვანა. დღეს ამ მიმართულებით სწარმოებს მუშაობა და იმედი გვაქვს შესაფერადაც დაგვირგვინდება დაწყებული საქმე.

ოქტომბრის რევოლიუციის დაფასება არ შეიძლება ამ წერილში. მისი მნიშვნელობა განუზომელია, არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის, არამედ მთელ სამყაროსათვის.

საქართველოს მუშები და გლეხები კი ღირსეულად დააფასებენ ოქტომბრის მონაპოვარს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავენ მას.

ს. ა.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1200. სამხედრო სტამბა პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩინჩალაძე.